ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3062868

ნომერი: AR1472719

თარიღი : 24.01.2017

გაცემის თარიღი : 25.01.2017

გაცნობის თარიღი : 25.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მცხეთის II შესახვევი N5 / ქალაქი თბილისი , მცხეთის გასასვლელი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაზიბროლა მაღრაძე პ/ნ 01013002603
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 28 ბ. 33

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.02.2010 წ. №212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24.01.2017 წლის №AR1472719 განცხადებით მომართა მოქალაქე ნაზიბროლა მაღრაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.02.2010 წ. №212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 11.02.2010 წელს გაიცა №212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მიწის ნაკვეთზე კოდით №01.14.11.041.028, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისათვის, სზ–3 და ტზ–1–ში განაშენიანების რეგულირების ხაზის დაცვით. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობებში სამსახურის 11.10.2010 წლის №5098 ბრძანებით შევიდა ცვლილება განაშენიანების რეგულირების ხაზის კორექტირებასთან დაკავშირებით. სამსახურის 25.05.2015 წლის №1915499 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განახლებული საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის№882015151115, მომზადების თარიღი: 20.03.2015 წ.; საკადასტრო კოდი: 01.14.11.041.028, ფართობი: 1492 კვ.მ.).
საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებიდან (საკადასტრო კოდი №01.14.11.041.028, ფართობი 1492კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016766964, რეგისტრაციის თარიღი 09/11/2016 წ.) დგინდება, რომ განხორციელდა საპროექტო მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება და კონფიგურაციის ცვლილება საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად.
განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ცვლილების დაფიქსირებას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.02.2010 წ. №212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.14.11.041.028, ფართობი 1492 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016766964, რეგისტრაციის თარიღი 09/11/2016 წ.)
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.02.2010 წ. №212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 11.10.2010 წ. №5098 და 25.05.2015 წლის №1915499 ბრძანებებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.